

## ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ნახევარფინალის შედეგები 2018-03-01

გამოცხადდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ნახევარფინალის შედეგები. ექსპერტთა კომისიამ, მეორე ეტაპზე გასული ოცი გუნდიდან, კონკურსის ფინალისთვის შეარჩია თორმეტი გუნდი. ნახევარფინალისტების შერჩევა მოხდა ინტერვიუებისა და ინოვაციური პროექტების პრეზენტაციების საფუძველზე, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

კონკურსის მესამე, ფინალურ ეტაპზე გადავიდნენ გუნდები თბილისის, ბათუმის, ვანის, ხონის, ქუთაისის, სოფელ პატარძელისა და თელავის სკოლებიდან. ფინალისტებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი გაუწევს ფინანსურ მხარდაჭერას, რაც შესაძლებლობას მისცემს გუნდებს, განავითარონ ინოვაციური პროექტები და დასრულებული სახით წარადგინონ კონკურსის ფინალში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალი გაიმართება 2018 წლის აპრილში, თბილისში. გუნდები კონკურსის კომისიის წინაშე წარადგენენ დასრულებულ პროექტებს და შედეგად, ექსპერტთა კომისია შეარჩევს გამარჯვებულებს. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში პირველ ადგილზე გასული გუნდი გაემგზავრება აშშ-ში და მონაწილეობას მიიღებს NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, აშშ-ში.

*ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველომეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც გაზრდის მათ მოტივაციას აღნიშნულ დისციპლინებში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალ მიღწევებს. პროექტის ერთ-*

*ერთი მიზანია კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაკავშირება წარმატებულ მეცნიერებთან და კერძო სექტორთან, რაც დაეხმარება მათ სამომავლოდ პარტნიორობის დამყარებაში, გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში.*

### ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალურ ეტაპზე გასული პროექტების სია:

1. აკუსტიკური სიგნალების სპექტრული ანალიზატორის ნეირონული ქსელი | 42-ე საჯარო სკოლა, თბილისი
2. კრიპტო გასაღების კვანტური განაწილება | ევროპული სკოლა, თბილისი
3. Meditap Wristband | სკოლა „პროგრესი“, ბათუმი
4. მეხანძრის ტანსაცმელი დინამიკური თბომედეგობით | მეორე საჯარო სკოლა, ვანი
5. მზის პანელის ენერგოეფექტური მოსაზრუნებელი მექანიზმი | ტექნიკური შემოქმედების გიმნაზია, მე-12 საჯარო სკოლა | ხონი, ქუთაისი
6. მიწისძვრის ვერტიკალური და ჰორიზონტალური რხევების უნივერსალური კომპენსატორი | სკოლა „აია-ჯესს“, თბილისი
7. რობოტი ლაბორანტი | სკოლა „აია-ჯესს“, მწვანე სკოლა, თბილისი
8. სასწავლო მულტიმეტრი | 199-ე საჯარო სკოლა, თბილისი
9. უნივერსალური შუქნიშანი | სკოლა „აია-ჯესს“, თბილისი

10. ქარის ტურბინები ქართული ფრთებით | ევროპული სკოლა, თელავი
11. ყურძნის უწყამლი ჯიშებიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის ტექნოლოგია | ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმი, სოფ.პატარძელი
12. წყლის ფარი | სკოლა „აია-ჯეს“, თბილისი